

ინტერნეტ-გვერდზე <https://www.tbcbank.ge/web/ka/web/guest/e-commerce> განთავსებული “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების ძირითადი პირობების” 1.4. პუნქტის შესაბამისად, სს “თიბისი ბანკი” გთავაზობთ “ელექტრონული კომერციის მომსახურების შესახებ ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში” (შემდგომში “სტანდარტული პირობები”) შემდეგი დამატებების შეტანას:

**1. სტანდარტული პირობების 1.1. პუნქტს დაემატოს ტერმინები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

ავანსად აღებული საკომისიო - საკომისიოს ოდენობა, რომელსაც ბანკი წინასწარ ჩამოწერს კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან.

შევსებადი საკომისიო - თანხის მოცულობა, რომლიც გამოიანგარიშება შემდეგნაირად: ყოველი თვის დასაწყისში დაითვლება კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი. თუ კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი აღმოჩნდება შევსებადი საკომისიოს გრაფაში მითითებულ თანხაზე ნაკლები, სხვაობა აღნიშნულ თანხასა და საკომისიოს ჯამს შორის, საანგარიშო თვის მომდევნო თვეს უაქცეპტო წესით ჩამოიწერება კომპანიის ნებისმიერი ანგარიშ(ებ)იდან, რაზეც კომპანია წინასწარ აცხადებს თანხმობას. მხარეები თანხმდებიან, რომ წინა თვის ბრუნვიდან მიღებულ საკომისიოდ არ ჩაითვლება საკომისიო, რომელიც დაერიცხება წინა თვეში განხორციელებულ ტრანზაქციას, თუმცა ჩამოიწერება მომდევნო / მიმდინარე თვეში.

**2. სტანდარტული პირობების 2.2. პუნქტს დაემატოს 2.2.10. და 2.2.11. ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

2.2.10. განაცხადში ავანსად აღებული საკომისიოს ველში მითითებული საკომისიოს ოდენობა ჩამოჭრას (ჩამოწეროს) კომპანიის ანგარიშ(ებ)იდან ხელშეკრულების/განაცხადის გაფორმებისთანავე. თუ კომპანიის წინა თვის ბრუნვიდან მიღებული საკომისიოს ჯამი გადააჭარბებს ავანსად აღებული საკომისიოს ოდენობას, ავანსად აღებული საკომისიო სრულად დაუბრუნდება კომპანიას ანგარიშზე, ხოლო თუ საკომისიოს ოდენობა აღმოჩნდება ავანსად აღებულ საკომისიოს თანხაზე ნაკლები, კომპანიას შესაბამისი საკომისიოები ანგარიშ(ებ)იდან ჩამოეწერება ამავე დებულებით გათვალისწინებული ლოგიკის (წესების) შესაბამისად.

2.2.11. ხელშეკრულების ნებისმიერი საფუძვლით შეწყვეტის შემთხვევაში, არ დაუბრუნოს კომპანიას ავანსად აღებული საკომისიო.

**3. სტანდარტული პირობების 3.1. პუნქტს დაემატოს 3.1.14. ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3.1.14. ნებისმიერი ტრანზაქცია გადაამოწმოს TPAY WEB და/ან მობილური აპლიკაციის მეშვეობით.